ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4134581

ნომერი: AR1621881

თარიღი : 08.08.2018

გაცემის თარიღი : 23.08.2018

გაცნობის თარიღი : 24.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სუხიშვილი , N7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მუხიაშვილი პ/ნ 01024019289
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 30 ბ. 68

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 08 აგვისტოს №AR1621881 განცხადებით მომართეს გიორგი მუხიაშვილმა და ლევან ნასყიდაშვილმა. განმცხადებლებმა მოითხოვეს მოითხოვეს ამავე სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3967443 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 05 დეკემბრის №2970698 ბრძანებით ქალაქ თბილისში, სუხიშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.029.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3967443 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრვალფუნქციური კომპლექსი/შენობა (კომერციული, საცხოვრებელი). სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3967443 ბრძანება განხილულ იქნა სამსახურის 2016 წლის 05 დეკემბრის №2970698 ბრძანებასთან ერთად.
განმცხადებლების განმარტებით, საპროექტო შენობის ძირითადი ფუნქციური დანიშნულება იქნება საცხოვრებელი და ითხოვენ სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3967443 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.
სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ვინაიდან, 2018 წლის 18 მაისის №3967443 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2016 წლის 05 დეკემბრის №2970698 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრვალფუნქციური კომპლექსი/შენობა (კომერციული, საცხოვრებელი), აღნიშნული საპროექტო ობიექტის შესაცვლელად საჭიროა იგივე პროცედურის გავლა. კერძოდ, საპროექტო ობიექტის შეცვლის მიზნით, საჭიროა განაცხადი დარეგისტრირებულ იქნას სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge), ელექტრონული განცხადებების ველში შემდეგი ნომენკლატურით: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები'' – „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება“, რის შედეგადაც პროგრამა ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრავს წარმოსადგენ დოკუმენტაციას. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, სამსახური იმსჯელებს განაცხადში მითითებულ საკითხზე და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას კანონით დადგენილი წესით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3967443 ბრძანება.
გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.